



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 461 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისთვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს – წედისის ციხის კომპლექსს (ციხე-გალავანი, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია) განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გახარია